


ՈՅՆ ԳՆԱՆԱՑՅՈՒՄ  
ՆՈՒՆԱԵՄՈՒԹՅՈՒՆ



ბარგის დაკარგვის საჩივარს ვწერდი, როცა აეროპორტის განგაშის ყველა სირენა ერთდროულად ანივლდა და ვიღაც ორმა ჯიგარმა: - სერ ბუნკერში უნდა წამოგვეყვით, ტორნადოს საშიშროებააო. მეთქი, რა სერ? რა ბუნკერი? რა ტორნადო?

კლაუსტროფობია თუ განუხებთ, ნუ ნერვიულობთ, ბუნკერს ფანჯრები აქვსო. მეთქი, კლაუსტროფობია კი არა, დაკარგული ბარგი მანუხებს-თქო. მაგას მოგვიანებით გავარკვევთო. ბუნკერია და ჭერზე დედისერთა, მაგრამ ტყვია და ყველაფერ გაუმტარი უზარმაზარი ფანჯარა გვაქვს და ბეტონის სქელი კედლები და ყველა ზომის, ფორმის და ბრენდის ტელევიზორი, რომელშიც მთელი ამერიკის თუ არა, მიდ ვესტის ყველა ცა ლაივშია გამოჭენებული და შენი თვალით შეგიძლია ნახო როგორ სად და რამხელა ტორნადო ყალიბდებაო.

ამ ჩემის თანაბუნკერელებს მამენტ ტორნადოზე ფიქრი და დარდი ხო მითუმეტეს მაგრად უსუქებთ და დგანან ტელეფონში თავჩარგულები და ერთი ორი ალაგ-ალაგ იცინის კიდევ.

ჩემმა ისტერიკამ პიკს იქ მიაღწია, როცა მარცხენა კედლის ქვედა, მეორე ტელევიზორში, ლათინოამერიკული კურიერის ამინდის პროგნოზის გამომცხადებელი, სულ ძუძუ ნაშა, ვიღაც სერიოზული „გალსტუკიანი“ ტიპით ჩაანაცვლეს. შენ ხვდები რა დედაჩაზვეული ტორნადო უნდა ხდებოდეს, რომ ლათინოსები ამინდის პროგნოზს სერიოზულად მიუდგნენ?

ჭერში გამოკიდებული ფანჯრიდან და ერთდროულად ყველა ტელევიზორიდან ვხედავდი როგორ გადაიზილა ერთმანეთში ღრუბლები და როგორ დაცხო საშინელმა წვიმამ.

- ვახ, ვილოცო?!

ამდენი ლოცვაც აღარ შემიძლია; თბილისი-მიუნჰენზე ვილოცე, მიუნჰენი-ჩიკაგოზე ხო ვილოცე და ვილოცე, ჩიკაგო-სიდერ რეპიდი საათნახევრიანი ფრენა იყო და პროსტა პირფვარი გადავინერე. ღმერთო, დანიშნულების ადგილამდე მშვიდობიანად კი ჩამომიყვანე, მარა ტორნადო შენი მხრიდან ნამეტანი შავი იუმორია, ცათამბჯენი რო ცათამბჯენია, ეგეც კი არ მინახავს და სადღაც ბუნკერში ნუ მომკლავ.

კაროჩე ბევრი რო აღარ გავატრაკოთ, მაგარი ტრუხა ტორნადო აღმოჩნდა, ეს ღრუბლები კი ჩაახვია ერთმანეთში, მაგრამ ვერა და ვერ გავერტიკალურდა და ვერ წაგვლეკა და ვერ „აღგვგავა პირისაგან მინისა“ და გაუყვა თავის გზას დარცხვენილი და გადაიარა ტორნადოს

საშიშროებამ და ბუნკერს შეფარებულმა ხალხმა, ჩემგან განსხვავებით, აილოთავისი ბარგი-ბარხანა და მიმოიფანტა სხვადასხვა გასასვლელელებში. მეც დავწერე ჩემი საჩივარი და გულისტკივილი დაკარგულ ბარგზე, გამოვედი აეროპორტიდან და მოვუკიდე პირველ ღერ სიგარეტს, გავაფუილე მთელ მსოფლიოში ყველაზე უცნაურად დამხვედრ ქალაქში და მოვიდა, გაჩერდა ჩემს წინ უზარმაზარი მანქანა, ჩვენ რომ პიკაპს ვეძახით, აი, ეგეთი და გადმოვიდა ამ უზარმაზარი მანქანიდან, ერთი ნახვით გულში ჩასავარდნი გოგო და მეო სარა ვარ ცვეიგიო და იყო სარა ცვეიგი ისეთი კარგად შესახედი გოგო, რომ იმავე წამს მივხვდი, ეს გოგო მეორე ტორნადოს დაატრიალებდა ჩემს გულში და ვინ იცის, ეგებადა ტვინშიც.

2/09/2018

დეივ'ს ფოქს ჰედში ვარ. ბარია ეგეთი. მწერლები ეძალებიან. პოეტებს თავიანთი ტოჩკა აქვთ, ჯორჯი'ს ქვია. ოლონდ ე მაგ ჯორჯი'სში მწერლები არ დადიან, სამაგიეროდ ფოქს ჰედში დააბოტებენ პოეტები, მთარგმნელები და ნონ ფიქშენ კამანდა. მე და ჩემი ჯგუფელები, აი, ეგ უკანასკნელი რასა ვართ, ლიტერატურულ - სოციალური კიბის სუ ქვედა საფეხური, მთარგმნელებიც კი, ჩვენს ზემოთ დგანან. ყოველ შემთხვევაში აქ, აიოვა სითიში, იუნესკოს ლიტერატურის დედაქალაქში და ყველაზე მოსაწყენ დასახლებაში, რომელიც კი მდინარის პირას აუგიათ ადამიანებს.

შტატებში ჩამოსვლის და ველქამ ტორნადოს მერე, ჩემი დრამები არ დამთავრებულა. პირველივე ლექციაზე გავიგ, რომ ფიქშენის მაგივრად, ნონ ფიქშენ დეპარტამენტში მოვხვდი და მოვხვდი იმიტომ, რომ აპლიკაციის შევსების დროს, არასწორ ადგილას დავსვი „პნიჩკა“.

აზრზე ხარ, ერთი მექანიკური შეცდომა, ერთი არასწორი მონიშვნა და სისტემაში ისეთი გაჭედილი ხარ, მამა ზეციერიც კი ვერ გიშველის, თან მითუმეტეს თუ შენ აქ ყოფნას შტატი აფინანსებს. შტატის ბიურო ისეთი ბიოროკრატიული ლაბირინთია, რა გინდ რა ჰერკულესი იყო, ვერ იზამ და მის ჩახვეულ ბილიკებში ვერ გააღწევ.

დეკანატებს შორის აქეთ-იქით სირბილში და მიშველეთ, შეცდომა მოხდას ძახილში, ერთადერთი, რაც გავარკვიე ისაა, რომ მეორე კურსზე ფიქშენზე გადამსვამენ, მაგრამ ეს ერთი წელი დოკუმენტურ პროზაში, ჟურნალისტიკაში ან ესეისტიკაში უნდა ავიზილო.

და რატომ?  
იმიტომ რომ ... ვარ.

9/09/2018

აი, ხო ამბობენ ამერიკა შესაძლებლობების ქვეყანააო? ამბობენ! ჩემი ფეხები! სინამდვილეში ამერიკა პარადოქსების ქვეყანაა. მაგალითად, სიგარეტს ვერც ერთ ბარში ვერ მონევ და აი, იმ გადასარევ შტატში, რომელშიც მე ვცხოვრობ, ქუჩაში დალევაც კი აკრძალულია. ბოთლი ქალაქში გაახვიე და ეგეთი ჰოლივუდური ჭინთეები არ დამინყოთ, რაშიც არ უნდა გაახვიო, აიოვა სითიში მაგ ბოთლს მაინც ტრაკში გაგიკეთებენ. აგი, სტუდენტური ქალაქია ძმაო, „ფაბლიქ ინტოქსიქიშენ“ იგივენიანად ისჯება, როგორც ქურდობა, ბოზობა და ათასი სხვა ობა-ზე დამთავრებული დანაშაული.

მოკლედ, ამერიკაში - შესაძლებლობების ქვეყანაში ისეთი მარტივი რამეა შეუძლებელი, რასაც ლუდის და სიგარეტის კომბინაცია ქვია. სამაგიეროდ, შეგიძლია იარაღი ატარო, სადაც გინდა. გინდა ბარში, გინდა კარში. ვოლმარტში ოციდან მარტო ერთ სალაროში იღება თამბაქო, სამაგიეროდ იარაღის უზარმაზარი განყოფილება აქვთ, ტყვიებსაც იქვე ყიდიან, შეგიძლია იქვე დატენო და იქვე ატეხო სროლა, იარაღის კანონს მაინც არავინ არ შეცვლის.

ამერიკაში სიგარეტი კლავს.

იარაღი არა.

სიგარეტი ლუდთან ერთად ამერიკის მტერია.

24/09/2018

ლუდი ბარში დავტოვე და მოსანევად გამოვედი. ვდგავარ, ვენევი და უცებ ჟანგბადის ბალონიანი, ცხვირში მიღებ გაყრილი ბაბუ გამეჩითა, დოლარს მანვდის და ერთ ღერ სიგარეტს მთხოვს.

მეთქი, დოლარი არ მინდა.

მათხოვარი არ გეგონო!

მეთქი, რა შუაშია?

აბა, სიგარეტს გართმევ და ფულს გაძლევ, მეტი რა გინდაო?

მეთქი, სიგარეტი აილე, მარა არ მინდა ეგ შენი დოლარი, - ძაან საეჭვოდ

შემათვალე რა, ხუთი-ათი წამი იყოყმანა და რო დარწმუნდა, მის თეთრ თავმოყვარეობას არ ვურტყამდი, სიგარეტი გამომართვა.

ჩემთვის მონევა არ შეიძლებაო.

მეც ეგრე მგონია-მეთქი.

შენ რა იციო?

ამხელა ჟანგბადის ბალონს დაახრიგინებ, მეექვსეა ეგ და სიგარეტი მეგობრობდნენ-მეთქი.

ეგეც მართალიაო, - თეთრი ზედა და ჯინსის გაქუცული ჟაკეტი ეცვა, რომელზეც ათამდე სხვადასხვა ზომის და ფორმის ბროში ჰქონდა დამაგრებული, აი, მაგ ბროშებიდან კიდე ნამეტანი საექვო გარეგნობის და მაკიაჟის ქალები იმზირებოდნენ.

მეთქი, ეგ ვინ ქალებია?

პორნო მსახიობები არიანო.

არც ერთი არ მეცნობა-მეთქი.

ოთხმოციანებიდან არიან, ჩემი ჯეელობიდანო.

ჩვენსას ეგეთ ბროშებს თუ იბნევენ, ესე იგი გარდაცვლილს გლოვობენ-მეთქი.

შენ რა იცი, რო მე არ ვგლოვობ, აი, ამათგან ორი-სამილაა ცოცხალი და ვაიჰ, ეგეთ სიცოცხლეს, დაბერდნენ, ჩამოიტლანენ, არადა, ოდესღაც ღმერთებივით გოგოები იყვნენო (სინამდვილეში “გადესს” იხმარა, ორმაგი დატვირთვით ხო ხვდებით, მარა ვერაფრით ვერ ვთარგმნე ეგ წინადადება).

ისე საიდან ხარო?

მეთქი, ჯორჯია.

აქცენტი რატო გაქვსო?

შტატი არა, ქანთრი ჯორჯია, ახლახანს ჩამოვედი-მეთქი.

ტორნადოს მოესწარიო?

ზუსტად ჩემი ჩამოსვლის დღეს იყო, მაგრად კი შემაშინა-მეთქი.

ეგ რა ტორნადოა, შენ თებერვალში უნდა ნახოო.

მეთქი, წინასწარ რა იცი? - ცინიკურად ჩამიღიმა, სიგარეტი გადააგდო და მე სუ ჟანგბადის ბალონით კი არ დავდიოდიო, - თვალი ჩამიკრა და თავის გზას გაუყვა. მე კიდე დავრჩი ტორნადოზე და ბებერ პორნოდამოკიდებულ პერვერტზე ფიქრებში.

ჩემი „ფლეთ მეითის“ გადამკიდე, სახლში აღარ ვენევი და რახან სახლში აღარ ვენევი, ბარემ, უზმოზეც აღარ მოვწევ-მეთქი გადავწყვიტე და “კორტადოში” დავანეცი. მთელ ქალაქში მარტო მანდ ილება ნორმალური ყავა. დავითრევ ჩემ ფამფკინ ლატეს, რამე პლასტმასის ნამცხვარს, გამოვალ, გავაფუილებ და ავტობუსის გაჩერებაც ზედ ამ “კორტადოს” წინა არაა? აქვე პატარა ქალაქია კორალ ვილი, ხოდა, ე მაგ კორალვილელებს, აიოველებსგან განსხვავებით გადასარევი იდეა გაუჩნდათ თავში და რამდენიმე სავაჭრო მოლი ჩარგეს გზისპირას, აი, ეგ სავაჭრო მოლები კიდე, ჩემნაირი ბარგდაკარგული ხალხისთვის მისწრებაა და ტანსაცმელი რომ მჭირდება კიდე, ეგ - ფაქტია. ჩემი ნივთებიდან მარტო ფოტოაპარატი, ლეპტოპი და ის ტანსაცმელი შემრჩა, რომელიც ხელბარგში კოხტად მქონდა ჩაკეცილი. აგრილდა გოროდში და ვოლმარტში მოშოპინგებულ ფერმერულ პერანგებსაც ჭირდებათ რამე თბილი მეგობარი, გინდა ქურთუკი და გინდა ბამბის ლუნლულა ჟაკეტი, მოკლედ, რამე ისეთი, რო ტრაკი არ მოგეყინოს.

რამდენიმე დღეა ძღნერის სუნი ტრიალებს ქალაქში, ოღონდ პირდაპირი გაგებით, არ გეგონოთ, რო რამეს ვატრაკებ, იმენა ყაყაშკების სუნია და დაუბერავს ქარი და დააბზრიალებს ამ პარფიუმს და ქარი კიდე აქ როა, ისეთი უნდა, პრეირია აგი ბიძიკო და სანამ ერთი ოკეანედან მეორეში არ ჩაბზრიალდება, იქამდე ქრის და ქრის და მოაქვს და მოაქვს ზემოთნახსენები, არცთუ ისე სასიამოვნო სურნელი.

ავტობუსში სარა შემხვდა. სარა ცვეიგი.

ერთი ნახვით გულში ჩასავარდნი და ჩავარდნილი გოგო. რალაცნაირად არ იქნა და არ აგვენყო ურთიერთობა. ნუ ლოგიკურიცაა, უცნობი ქალის წერილებს, ყოვლად ერთუჯრედიანი ბოიფრენდი ყავს, შტატიდან შტატში დახრიგინებს თავის კონსერვის ქილასავით დაჭეჭყილი უზარმაზარი პიკაპით და ყოვლად აუტანელ, მოგვაის რო შეშურდება ისეთ უჯიშო, ექსპერიმენტალურ მუსიკას უკრავს, რო შეხედავ, ძაან არტისტია და რო დააკვირდები - მაგარი ყლე.

სარამ ძღნერის სუნი არ არის, ნაკელიაო.

მეთქი, რა ნაკელი? - ღმერთი არ გაგინყრეთ და ეჭვი არ შეგეპაროთ იმაში, რასაც ქვემოთ წაიკითხავთ, სარა ერთადერთია მთელ ჩვენ პროგრამაში, რომელიც აიოვაში დაიბადა, გაიზარდა და თუ რამე არ შეიცვალა, მოკვდება კიდეც. მოკლედ, იცის რასაც ამბობს და ამ ჩვენს ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტ აიოვას ორი ზნე ჭირს, პირველს „ქორნ

სვეთინგი“, ანუ ქე რო შენს ენაზედ ვთარგმნოთ, რალაცა სიმინდის ოფლიანობისდამაგვარი ქვიაო.

მეთქი, რა „ქორნ სვეთინგი“?

დამაცადეო.

ვაცადე და...

აიოვა ხო არის უზარმაზარი შტატიო?

მეთქი, კი.

ხოდა, ამ უზარმაზარი შტატის, უზარმაზარი ნაწილი ხო სიმინდის ყანებს უჭირავსო?

მეთქი, კი.

ხოდა, აი, ამ უზარმაზარ სიმინდის ყანებს მორწყვა ხო უნდაო? უნდა რომელიაო! კვირაში შვიდი დღე და დღეში თორმეტი საათი რწყავენ და აი, ეგ ყველაფერი რო ორთქლდება, აგვისტოს ხვატს ემატება, ტენიანობა რომ იმატებს და ფილტვები ნყლით გევისება შუბლზეც ოფლს პლიუს აიოვას ნამი რომ გაქვს, ეგ არის ქორნ სვეთინგი აი, ეგრე ცუდად ვერევიოთ დედა ბუნების საქმეში, რომ სიმინდი გვქონდეს და სიმინდი კიდე ადამიანებისთვის განკუთვნილი არ გეგონოს, ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი ძროხებისთვისაა გათვლილი და ძროხები კიდე ბუნების მეორე მტერია, გეცოდინება, ალბათ, ბალახის ჭამის მერე რომ აბოყინებენ და CO-ს უშვებენ, ეგეც კაი გვარინად ვნებს ჩვენ პლანეტასო. ინდოეთში ძროხა შეიძლება წმინდა ცხოველია, მაგრამ ძროხა ამერიკის სიმინდეა, მთელ მსოფლიოში ყველაზე მეტ ძროხის ხორცს ჩვენ ვანარმოებოთ, ჩვენ ვჭამთ და სანაგვეზეც ჩვენ ვყრიოთ.

ეგ ყველაფერი კი ძაან საინტერესოა, მაგრამ ყაყაშკების სუნთან რა კავშირშია-მეთქი?

წრე ისევ ძროხებით იკვრება, ცოცხლად გადარჩენილი ძროხები მოგეხსენება და თავის ტრაკს უკან ნამეტან ბევრ განავალს ტოვებენ და ეგ განავალი ფერმერებს, როგორც მესიმინდეებს, ისე მეძროხეებს ნამეტანი ენანებათ გადასაყრელად და თან განვითარების რალაც ეტაპზე კაცობრიობამ აღმოაჩინა, რომ სიმინდისთვის განკუთვნილ ყანებს დამატებული ძროხის ნაკელი, შემდეგი წლისთვის კარგად განოყიერებულ ნიადაგს ნიშნავს და ამიტომ აიოველი ფერმერები ტონობით ეზიდებიან ნაკელს და ამ მოზიდულს მერე ყანებში მიმოაპნევენ და მიმოაპნევენ, და თუ ქარი ქრის, ქრის ყაყაშკების სუნიცო.

მეთქი, ატრაკებ.

„გუგლ ით“-ო.

23/10/2018

ვიქენდზე ჩიკაგოში დავანექით, ალ კაპონეს, დიფ დიშ პიცას, ელექტრიკ ბლუზის და ჰაუს მუსიკის სამშობლოში. მე, სარა, ხორხე და კინანი ვართ. სარას ბოიფრენდი აიოვაში დარჩა, ადამიანური მუსიკა მაგას არ ესმის, პიცას ეგ არ ჭამს და ჩიკაგოში რა უნდა? თავში ქვა უხლია, მთავარია პიკაპი გვათხოვა და იმედია, ეს ჯართი ჩიკაგომდე ჩაგვალწევინებს.

მოკლედ მივდივართ და მივიმღერით, ოდელია რანუნი.

აიოვას, აიოველებს და ამ ჩვენი პროგრამის ხალხს ერთი უცნაურობა ჭირთ, ოცდაოთხი საათი ლიტერატურაზე ლაპარაკობენ, ლაპარაკობენ ბევრს და ლაპარაკობენ ჭკვიანურად და ლაპარაკობენ ისეთ თემებზე, მწერლებზე და ხერხებზე, რომელიც არასდროს გამიგია.

მაგალითად ხომ არსებობს „მეთოდ აქტინგი? არსებობს! ამ ჩვენ კინანს უნდა, რომ „მეთოდ ვრაითინგი“ დაამკვიდროს.

ანუ?

ანუ წერ, რასაც ცხოვრობ და ცხოვრობ, რასაც წერ.

მოიცა, და სერიულ მკვლელზე თუ წერ-მეთქი?

შენი აზრით დენიელ დეი ლუისი ნიუ ორკის ბანდებში თამაშის დროს ხალხს მართლა ხოცავდაო?

არა-მეთქი.

და ლინკოლნის დროს კონფედერატებს მართლა ებრძოდაო?

არა-მეთქი.

მაგრამ მეთოდ აქტინგი ხო მაინც გამოიყენაო?

დავეთანხმე.

ხოდა, იმას კი არ ვამბობ, რომ თუ სერიულ მკვლელზე ვწერთ, ჩვენც ხალხის ხოცვა უნდა დავინწყოთ, უბრალოდ სერიული მკვლელის ტყავში უნდა შევძვრეთ და სხვა ყველაფერი ისე ვაკეთოთ, როგორც ის აკეთებდაო.

რასაც შენ ამბობ, ეგ უფრო ფიქშენ კამანდას გამოადგება, ჩვენ ისედაც მარტო რეალური ისტორიის დანერა გვევალება, ტყუილების და გამოგონილის გარეშე-მეთქი.

ვერაფერიც ვერ გაიგეო, - სარამ.

ახსენი-მეთქი.

აი, ჩემი მაგალითი ავიღოთო.

აზრზე არ ვარ რაზე წერ-მეთქი.

ისეთ რამეზე, რაც ბოიფრენდს დამაშორებს, მაგრამ დანერად ღირსო, - ვახ, შენ ოლონდ მაგ იმბეცილს დაშორდი და თუ გინდა, შენი



კბილა ქართველი გოგოებივით პავიჩის გადამღერებები წერე-მეთქი, გავიფიქრე.

მოკლედო, მთელი ამერიკული პორნო ინდუსტრია ღარიბი, მიდ ვესტელი ფერმერების შვილებით იკვებება, ხოდა, მეც ხო მიდ ვესტელი ვარ, მამაჩემიც ხო ფერმერია, ხოდა, ავდგები და პორნო ინდუსტრიაში შევძვრები და ჩემ გამოცდილებაზე დავწერო.

მოიცა, პორნო მსახიობობას აპირებ-მეთქი?

ხო, რა მოხდაო?

არაფერი, პროსტა ხვდები რამდენ ყლეზე გადახტომა მოგინევს, სანამ წერას მორჩები-მეთქი, - გაეცინა და არა მთლად ბრაზერსის ტიპებთან ძიძგილაობას არ ვაპირებ, პორნჰაბზე ჩემ ჩენელს გავხსნი და სოლო ვიდეოებს დავდებ, ვილაცეები ხო გამომეხმაურებიან, იმათთვის პრივატ სესიებს მოვანყოფ და ჩემ გამოცდილებას აღვწერო.

ვახ-მეთქი.

ხორხემ - ფსევდონიმი აირჩიე უკვეო?

სარა ვარ და ცვეიგი გვარად, მეტი რა ფსევდონიმი გინდაო.

კინანმა - ჩემი საყვარელი პორნოსტარი იქნებო.

მე მიჭერილი ვიჯექი და ამ ყველაფრის გაანალიზებას ვცდილობდი. აზრზე ხარ, ტიპები სად არიან, რაზე ფიქრობენ, ლიტერატურას როგორ აღიქვამენ, რაზე მუშაობენ, წერას როგორც პროცესს, როგორც ცხოვრების ნაწილს ისე უყურებენ, ჩვენთან კიდე, მწერლების ოთხმოცდაათი პროცენტი იმიტოა მწერალი, რომ სკოლაში კარგ თემებს წერდა, მასწავლებლებმა შეუკიკინეს, მშობლებმა დააჯერეს, მეგობრებმა მოატყუეს და ასე შემდეგ, აქ კიდე, ხალხი ნახე სად არის - ტიპები ცხოვრობენ, რასაც წერენ და წერენ, რასაც ცხოვრობენ.

კინანმა, დედაჩემს კიბო აქვს, ბოლო სტადიაშია, ხოდა, მის უკანასკნელ დღეებზე დავწერ, მოგონებები მოგონებებად დამრჩება და თან ჩემი მხრიდან ყველაზე ნაღდი, ყველაზე გულწრფელი ტექსტი იქნებაო.

ხორხე ტრამპის საემიგრაციო პოლიტიკაზე, უფრო სწორად, ამ საემიგრაციო პოლიტიკით დაზარალებულ ოჯახებზე წერს. დედებზე, რომლებიც შვილებს დააშორეს და ბავშვებზე, რომლებმაც ვილაც ფორთოხლისფერი იდიოტის გამო საშინელი სტრესი გადაიტანეს. მოკლედ, აინყვეს ცხოვრება, ერთი მე ვარ იდიოტი, რომელმაც ჯერ ფაკულტეტს პნიჩკა ააცილა და ეხლა ყველაფერთან ერთად, ტვინი ისე გაეყინა, რომ ერთი ნორმალური იდეაც კი აღარ უჩნდება.

ცვეიგ, აიოვაში რომ დავბრუნდებით, ერთი საინტერესო ბაბუ უნდა გაგაცნო-მეთქი.

ვინ არის, რა კაციაო?

რა კაცია და ქუჩებში ჟანგბადის ბალონს დაახრიგინებს, გულზე პორნო მსახიობებიანი ბროშები აქვს დაბნეული, სახლში კიდე, საერთოდ ყველა პორნო კასეტა, რაც კი ოდესმე გამოსულა-მეთქი.

24/10/2018

სანამ ჰაუს მუსიკის აკვანს დავარწვეთ, მანამდე ბლუზ კლავში შემოვიხედეთ. რიგი დგას “დედა მოუვა”, მაგრამ აქ ყველგან და ყოველთვის რიგია. სტარბაქსით დაწყებული, ვოლ სტრიტის ხართან სელფის გადასაღები ადგილით დამთავრებული.

სტარბაქსის რიგი ყველაზე მურტალი იყო, ყავაც მინდოდა და მიფსმაც, ე მაგ ყველაფერმა, რასაც დედა სამშობლოში მაქსიმუმ ათი წუთში მოვაგვარებდი, ჩიკაგოში საათნახევარი წამართვა. წამართვა რა, დროის მეტი რა მაქვს, მაგრამ ტუალეტის რიგში დასაკარგად მაინც მენანება. გავიარეთ.

კლუბის დაცვა იქნებოდა ესე სადღაც ორ მეტრამდე, შავკანიანი, ყოვლად კეთილი და მომღიმარი არსება. პირადობა გავუწოდე და დაბადების თარიღი ღიმილით ვაჩვენე, რომ დიდ ხანს არ ეწვალა, მაგრამ ამ ჩვენს სექსუალურ ჯიგარს, ჩემი ასაკი იქ გაუტრუხდა, როცა დაბადების ადგილის გასწვრივ საქართველო წაიკითხა.

ქართველი ხარო?

მეთქი, ეგრე გამოდის.

მამა სპიროდონს იცნობო?

ვახ, მე ვიყო ჩათლახი, “ზდეს პრაეხალი ტანკი ლეიტენანტა გოდერძი მახარაშვილის” ნაირი გრძნობა თუ არ დამუფლებოდა.

მეთქი, არამეულად რომ მლერის ე მაგას-თქო?

ხო, ხო, მაგას, ჩემი საყვარელი მომღერალიაო.

არ ვიცნობ, მაგრამ მოსმენით მომისმენია-მეთქი.

ხო არის საოცრებო?

მეთქი - შენ მაგის ახალი სიმღერა მოისმინე?

რომელიო - მამა სპირიდონის და “ნაცნობის” ძველბიჭურ პოეზიას მიმატებული არამეული საგალობლების მიქსი მოვასმენინე. ბოსტანში გაგორებული კომბოსტო და კაცი აცა ბაცა თუ რაღაც ეგეთი. დაცვის ბიჭი ცრემლებად დამელვარა.

როგორი სულის შემძვრელიაო - ხუმრობა არ გამომივიდა, არ გამომივიდა

კი არა უარესი, ახლა მამა სპირიდონის გარდა, ჩვენ “ნაცნობსაც” ყავს ერთი ფანი ჩიკაგოში.

ეს ყველაფერი რა შუაშია, ამ კლუბის ამბებს სხვა ისტორიის სიყვარულში ვწერ. ბლუზი რო გახურდა და რამდენიმე ჭიქა ბურბონი რომ ჩაიღვარა ორგანიზმში, ჩემმა სხეულმა თავისით დაიწყო მუსიკის რიტმზე მოძრაობა და უცნაური ნელვა-გრეხვა, რომელსაც ზოგი ცეკვას ეძახის, ზოგი თვითგამოხატვას და ჩემთვის კიდევ, ჩვეულებრივი მთვრალი ტრაკის თამაშია და მეტი არაფერი.

ხოლო ქალი კი, რომელიც სცენაზე უკრავდა, იყო იმდენად ჭარბწონიანი რომ, ბლუზის გიჟური ტემპისთვის გასაძლებად, მალი-მალ სკამზე ჩამოჯდომა სჭირდებოდა და ედგა ფეხებთან, აი, ისეთი ვინტილატორი, რომლებსაც სამოდელო ფოტოსტუდიებში თმის გასაწენად და მოდელების კიდევ უფრო კარგად გამოსაჩენად იყენებენ, ხოლო კნეინა, რომლის ხმა და მუსიკა იგივენაირად იყო აცდენილი მის ვიზუალთან, როგორც ჩიკაგოელი დაცვის ბიჭის და არემეული მუსიკის სიყვარულია ერთმანეთს აცდენილი, ვინტილატორს ამას, ხმარობდა გასაგრილებლად და გაგრილებული მღეროდა ისეთ ნალველში ამონანებ, მაგრამ მაინც კარგად ენერგიულ სიმღერებს, რომ მთელ დარბაზს ახურებდა და აი, ეგრე სასმელით და მუსიკით გაბრუებული სარაი ჩვენი, ცვეიგი ამომიდგა გვერდში ცეკვა-ცეკვით, ვცეკვავდით და ალაგ-ალაგ ისე უცნაურად ვეხებოდით ერთმანეთს, რომ ისიც კი დამავიწყდა, ამ ბოლო წინადადებაში რამდენი ტირე თუ დეფისი გამოვიყენე და სარას კი, ალბათ, დაავიწყდა, რომ ყავდა ყოვლად უგვანო ბოიფრენდი და ჩვენ სხეულებში უცნაურმა ქიმიამ დაიწყო დუღილი. დაე!

3/11/2018

გოგოსთან ერთად პორნოსთვის როგორ არ მიყურებია, მაგრამ ე მაგ პორნოს ყურებებს და ე მაგ გოგოებს ძირითადად შემეცნებითი ხასიათი ჰქონდათ და ჩვენც ვიმეცნებდით და თეორიაში ნასწავლს პრაქტიკაში ვამკვიდრებდით. ეხლა კი, ჟანგბადის ბალონიანი ბაბუს, ნესტის და წამლების სუნთან ბინაში გამოკეტილები, მისივე კატეგორიული მოთხოვნით, ჯინჯერ ლინის, შრომაში კარგად გაცვეთილ სექს ტიქს ვუყურებდით და ვიჯექით გვერდი-გვერდ მე, სარა და ამ და კიდევ სხვა მილიონი პორნო კასეტის მფლობელი, ჩემი მეგობარი, პერვერტ ბაბუდ წოდებული, სერ ჰიუ კოლინსი, რომელიც შიგადაშიგ ხან ჩემსკენ

აპარებდა თვალს, ხან კი სარასკენ და ალბათ რამე აღფრთოვანების მაგვარს ელოდე ჩვენს სახეზე, მაგრამ ჩვენს სახეზე, თვალეში და მაგრად მოკუმულ ტუჩებში იყო მხოლოდ იმედგაცრუება და მეტი არაფერი, რამეთუ თუ არსებობს თრეში და თუ არსებობს მისი ღმერთი, აი, იმ ღმერთს ორ რამეზე არ დანანებია თრეშის მაღლი - დისკო მუსიკაზე და ოთხმოციანების პორნო კულტურაზე.

თრეშის შარავანდედით დამშვენებულები უკვე სერ ჰიუს სახლიდან გამოვდიოდით, როცა მის სამუშაო მაგიდაზე რაღაც უცნაური ნახაზები შევამჩნიე.

მეთქი, ეს რა არის?

ეს აიოვას მინისქვეშა გვირაბების რუკააო.

მეთქი, რა აიოვას გვირაბები?

სმაგლერებს ქონდათ გაყვანილი, არალეგალურ სპირტს ეგრე ეზიდებოდნენო, - სარამ ამიხსნა.

მოიცა, აიოვას ქვემოთ გვირაბებია-მეთქი.

რამდენიც გინდა და რომელი მიმართულებითაც გინდაო.

ვახ, და ეს რუკები შენ რათ გინდა-მეთქი?

მე მართლა სუ ჟანგბადის ბალონით კი არ დავხრიგინებდი, ადრე ტორნადოთ მჭერი ვიყავიო.

მეთქი, ეგ რას ნიშნავს?

ადამიანს, რომელიც ტორნადოს იჭერსო, - სარამ ამიხსნა.

მაგდენს მეც მივხვდი, მაგრამ ტორნადო როგორ უნდა დაიჭირო-მეთქი?

ფირზე ან ეხლანდელ რეალობაში ციფრზეო, - ჰიუმ ჩააკონკრეტა.

მოიცა, ტორნადოს ვიდებოხს იღებდი-მეთქი? - ამაყად გამებღინდა.

მერე რა პორნოებს გვაჩვენებ, ეგ ისტორიები მაიტა და მე ვიყო ბოლო კაცი მთელი წიგნი თუ არ მოგიძღვნა-მეთქი.

წიგნი-შმიგნი არ მაინტერესებსო.

სამაგიეროდ მე მაინტერესებს აიოვას გვირაბების ნახაზები რათ გინდა-მეთქი.

გახსოვს, რომ გითხარი თებერვალში აიოვას ტორნადო გადაუვლისო?

მეთქი, ბუნდოვნად.

მოდი, რა განახოო.

4/11/2018

ორი აფდეითი.

პირველი - უკვე ერთი თვეა რაც ჰიუსთან ვმუშაობ, სადღაც შვიდი-რვა საათი ვიდეო მასალა, მისი ინტერვიუები და თავგადასავლები მაქვს შეგროვებული, იდეაში საინტერესო ამბავი გამოდის, მაგრამ ამ ყველაფერთან მე რა შუაში ვარ, ვერ გავიგე. ჩემი პოზიცია სად არის ან ჩემი ისტორია? სად ვცხოვრობ იმას, რასაც ვწერ და სად ვწერ იმას, რასაც ვცხოვრობ?. ეს ყველაფერი ერთი შერეკილი ბაბუს საშუალო დონის ბიოგრაფია უფროა, ვიდრე ხელოვნება, როგორ სასაცილოდაც არ უნდა ჟღერდეს ეს სიტყვა ყველაფერ ზემოთმონაყოლთან კონტექსტში. მეორე - სარამ პორნჰაბზე სოლო ვიდეოების დადება დაინყო, რაღა დაგიმალოთ და სამივეს ვუყურე და რაღა დაგიმალოთ და ეგეთი ცუდი პორნო მარტო მისტერ ჰიუს ნესტიან ოთახში მაქვს ნანახი.

ჯერ ერთი - ვინ იღებს პორნოს ვერტიკალურად? სად არის ფულ ეიჩ დი? რატოა გამოსახულება ესეთი ბნელი? რატო სჭირდება ორმოცდახუთი წუთი რო გაათავოს? ან კაი, თუ სჭირდება რატო არ ამონტაჟებს? რატო არ ამოკლებს? მართლა გონია, რომ პორნოს ვინმე ბოლომდე უყურებს? მერე მეორე - ეგრე არ გამოვა რა! პორნოში შესვლა თუ გინდა და შენ გამოცდილებაზე წერა, ნილაბი უნდა მოიხსნა. პირდაპირი მნიშვნელობით ოღონდ! ვიდეოებში სარას ბეტმენის ნილაბი უკეთია! რა ბეტმენი? ჰიუს პორნო თუ თრეში იყო, ეს წმინდა ნყლის კიტჩია! მე კიდე კიტჩი ჩემი თავი მეზარება.

ისე რა უცნაურია არა, ეს ჰოუმ ვიდეო პორნო გოგოები და ბიჭები ტრაკს და კიდე უარესებს აჩენენ და სახის გამოჩენა კი ერიდებათ... როგორ უკულმა უნდა იყოს ყველაფერი მონყობილი და როგორ წაღმაა და როგორ არასწორად... გავიარეთ.

მეორე აფდეითის მეორე ქვე პუნქტი - სარა თავის ჩოილარს დაშორდა, სამართლიანობა მოითხოვს, რომ ეს ინფორმაცია ჩავაკონკრეტოთ და ვთქვათ, რომ პორნო ვიდეოებს შემდეგ, ჩოილარი აქეთ დაშორდა სარას. რა უცნაურია არა? - სიეტლელი გრანჯ თაობის ჯეელისთვის რომ პორნო შეყვარებული მიუღებელია და ოთხმოცდაათიანების - ქალიშვილი თუ არაა ცოლად არ მოვიყვან, თბილისელი მწერალი რომ სიამოვნებით იქნებოდა სარას სწორფერი... სამყარო რომ უკულმართადაა მონყობილი, მაგაზე შენიშვნა იხილეთ ზემოთ.

2/12/2018

კრიშტიანუ რონალდუს ავტობიოგრაფია ნაკითხული გაქვთ? არც მე, მაგრამ წინასწარ ხო იცით რო ქაჯობა იქნება? მეც, ხოდა მგონი მოვახერხე და ეგეთივე დონის ყლებობა დავწერე. ჰიუს ძალიან მოსწონს, მაგას ოთხმოციანების პორნოც მოსწონს, ასე რომ ეგ დიდი შეღავათი არ არის. შეიძლება უარესიც კია. არ ვიცი...

რა მინდობა ნონ ფიქშენში?

არასწორად დასმულმა პნიჩკამ შეიძლება შენ მწერლურ ამბიციებს დაუსვას წერტილი?

13/12/2018

კინანის დედა გარდაიცვალა და დარჩა მისგან ფერფლი ქოთანში და რამდენიმე ათეული საათი სკაიპით ჩანერილი ვიდეოები და დარჩა კინანი ობლად და პერსონაჟის გარეშე და აღარ დარჩა კინანში ცრემლი და არ მინახავს ადამიანი, რომელსაც ამდენი ეტიროს და ჰქონდა კინანს ორმაგი დრამა და იყო მისი ტექსტი დაუმთავრებელი და როგორი შეგუებულიც არ უნდა ყოფილიყო დედამისის სიკვდილთან, ნებისმიერი სიკვდილი ხომ მაინც მოულოდნელია და იყო კინანი ისეთი გაცეცხული, სიკვდილის უფრო ადრე მოსვლით, ვიდრე წიგნში ჰქონდა დაგეგმილი, რომ მისი შემხედვარე დიდად ვერ გაიგებდი რას უფრო დარდობდა - რომ ველარ იცხოვრებდა იმას, რასაც წერდა თუ ველარ დანერდა იმას, რასაც ცხოვრობდა.

20/12/2018

შენ ხვდები, როგორი ცუდი უნდა იყოს პორნო, რომ პორნჰაბის მომხმარებელმა არ უყუროს და შენ ხვდები, ადამიანმა პორნო ინდუსტრიაში შესვლა რომ გადაწყვიტოს, თავის თავში რამხელა რალაცას უნდა გადააბიჯოს და უნდა გადააბიჯოს ან უფასო ფულისთვის, ან პოპულარობისთვის, ან სარას შემთხვევაში, რალაც ექსპერიმენტალური ლიტერატურის სიყვარულისთვის, და შენ ხვდები, ადამიანი ზემოთ ჩამოთვლილიდან ვერც ერთს რომ ვერ იღებს,

ტვინში, სულში და გულ-მუცელში, აი, იმ თავმოყვარეობასავით, თუ ზნეობრივი მორალივით რალაცაზე გადაბიჯება რჩება მხოლოდ და აი, ეგრე გაუბედურებული და თავის თავთან შერცხვენილი სარა იჯდა ჩემ წინ და ყვებოდა თავისი დარდების და გაცრუებული იმედების შესახებ და მე ვამშვიდებდი და ვუხსნიდი, რომ მისი მიზანი საკუთარ გამოცდილებაზე წერა იყო და არა პორნო ვარსკვლავობა და ამბობდა სარა, რომ გამოცდილება როგორ მოვა თუ მაყურებელი არ მეყოლება და ვილაცის დაკვეთას არ შევასრულებ, მე პორნო ინდუსტრიაზე ვწერ და არა პორნო ლუბერებზეო და დიდი იყო დარდი მისი და ვიცოდი, რომ ისეთ სისულელეს შევთავაზებდი, რომელიც შეიძლება მთელი დარჩენილი ცხოვრება სანანებელი გამხდომოდა, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ თუ ახლა გავჩუმდებოდი, მერე ამ დუმილსაც ვინანებდი და ამიტომ ვუთხარი სარას, რომ თუ გინდა ვიდეოების გადაღებაში მე დაგეხმარები-მეთქი და შემომხედა სარამ და მეყო თავხედობა და გავუსწორე თვალ-თვალში და იყო ის კარგი, მე კი ცუდი და ბოროტი ერთდროულად და გვექონდა დიდხნიანი თვალების დუელი და ქალაქის მთავარმა საათმა თორმეტჯერ რომ ჩამოკრა, სარამ ჩემს მზერას ველარ გაუძლო და ჯანი გავარდეს, ჯამში ჩავარდესო.

21/12/2018

არც ხე დამირგავს, არც სახლი ამიშენებია და არც ბავშვი გამიზრდია. სამაგიეროდ ოცდაათი წლის ასაკში მოვახერხე და პორნო გადავიღე, გადავიღე კი არა, მონაწილეობაც მივიღე. ოლონდ... იმდენად რამდენადაც კამერამენიც მე ვიყავი და მეორე მთავარი გმირიც, ვიდეოში ჩემი სხეულის მხოლოდ ის ნაწილი ჩანს, რომელსაც ესე გულმოდგინედ ვხატავდით სკოლის ყველა მერხსა თუ კედელზე...

დაახლოებით ხო წარმოგიდგენიათ როგორი უხერხული მომენტი იქნებოდა ჩემთვის სარას პორნო ვიდეოს გადაღება, ხოდა, აი, ახლა ეგ დაახლოებით რაც წარმოგიდგენიათ, ათზე გაამრავლეთ და იმ უხერხულობას მიიღებთ, რომელსაც მე განვიცდიდი, და თუ სარას ტყავში შექრომაც გინდათ, ჩემი უხერხულობის ნამრავლისთვის სიტუაციის აბსურდულობის მიმატება მოგიწევთ.

ახალი წლის წინა დღეებია და ვიდეოს სიუჟეტიც საახალწლოა, სარას ვოლმარტში ათ დოლარად ნაყიდი, სანტა კლაუსის ელფის კოსტუმი აცვია და ლაკრიცას კამფეტივით წითელ-თეთრ ზოლიანი ვიბრატორი

აქვს, მე კიდევ დისკომფორტი და ამიტომ ვთავაზობ - კამერას ჩართულს დავტოვებ და გავალ-მეთქი.

ჩემთვის მოულოდნელად და კატეგორიულად სარა მეუბნება დარჩიო და იწყებს მუშაობას, ოღონდ კამერის ობიექტივის და პოტენციური მაყურებლის მაგივრად მიყურებს მე, მიყურებს თვალეში და სხეულის სხვა ნაწილებზე ყურებას, პრინციპში მირჩევნია, რომ მეც თვალეში ვუყურო და უცებ სარა ნებდება და მეუბნება არ გამომდისო და მე უკვე მეორედ მყოფნის თავხედობა და ვთავაზობ იმას, რაც საბოლოო ჯამში ჩვენს პირველ ერთობლივ ვიდეოდ გადაიქცევა.

და მერე უკვე ჩემს სახლში, როცა ამ ვიდეოს მონტაჟს დავიწყებთ, მე და სარა მივხვდებით, რატომ იღებენ ერთმანეთით თავმოებზრებული ნყვილები საშინაო ვიდეოებს და ჩვენი შემოქმედების მაყურებლებს ნამოგვივლის ჩრდილო-დასავლეთის ვნების ქარები და აქამდე კამერისთვის გაკეთებულს, გავაკეთებთ ჩვენთვის და მერე ამ ორ სექსს ერთმანეთს შევადარებთ და მივხვდებით, რომ ორი აქტი არ არის საკმარისი სტატისტიკისთვის და ამიტომ დაიღვრება იმ ღამეს კიდევ ბევრი ოფლი და დილით გაღვიძებულზე, მე დავიწყებ, აი, ამ თავის წერას და გაგიკვირდებათ და სარა იქნება ისევ ჩემს საძინებელში, მე კი ლეპ ტოპს გვერდზე გადავდებ, რომ სანოლში მივართვა ყავა.

8/01/2019

“ბებერ, მაგრამ ერთგულ ქენონს, სამას მილიმეტრიანი ლინზა მოარგო, ჩიბუხი ამერიკან სფირითით გატენა, მოუკიდა, გააბოლა. მორჩა, მზად არის, რანდევუ გარდაუვალია და როგორც ყველა პაემანს, ამ შეხვედრასაც თავისი რომანტიკა და ძალიან გრძელი პრეისტორია აქვს, ის მთელი ცხოვრება ტორნადოს დასდევდა, ტორნადო კი, მთელი ცხოვრება გაურბოდა, ახლა ვეღარსად ნავლენ, ვერც ერთი და ვერც მეორე.

ევაკუაცია ჯერ კიდევ ნაშუადღევს გამოცხადდა, სულ ბოლოს, სადღაც ხუთი საათისთვის პოლიციელებმა, მეხანძრეებმა და შტატის წვრილფეხა ჩინოვნიკებმაც დატოვეს ქალაქი. “მშიშრები” - გაიფიქრა ჰიუმ, თუთუნს ძლიერად მოქაჩა და თითქოს ჩიბუხიდან ამოსული კვამლი, საავდრო ღრუბლებისგან გაშავებულ ცას შეუერთდა. დაიჭეჯა, კიდევ უფრო ჩამობნელდა და ტორნადოც დაიძრა.

მთავარია იმ შენობას რომელშიც ჰიუ იმალებოდა, ქარბორბალას პირველი დარტყმისთვის გაეძლო, მერე უკვე ჰიუმ იცოდა, ჰიუმ და მისმა



ერთგულმა ქენონმა. ჯერ არასდროს ყოფილა ესე ახლოს იმასთან, რომ ტორნადოს თვალის ფოტო გადაეღო, ფოტო რომელიც მისთვის წმინდა გრაალზე უფრო ძვირფასი და მნიშვნელოვანი იყო”.

აი, წმინდა გრაალი უკვე ძალიან ზედმეტი იყო, - სარას “ტორნადოთმჭერის” პირველი დრაფტი მივეცი წასაკითხად.

ხო, მაგრამ ინტერვიუში ახსენა-მეთქი.

ბულშითო!

ვას, ვიდეოს გაჩვენებ-მეთქი.

არა, ზოგადად მთელი ტექსტით, - გაიცანით სარა, ჩემი ახალი სიყვარული და ყველაფრის პირშიმთქმელი ქალი. მიხვდა, რომ უხეშად მოუვიდა და - იმედია შენთვისთონაც ხვდებაო.

ვაგლხარ, რომ ვხვდები-მეთქი.

მაპატიე, მაგრამ კრიშტიანო რონალდუს ავტობიოგრაფიაზე უფრო ცუდიაო.

მეთქი, მართლა ნაკითხული გაქვს?

კი, ჩემი ყოფილი სოკერზე გიჟდებოდაო.

მაპატიე, მაგრამ ეგ შენი ყოფილი მაგარი ლელვი იყო-მეთქი.

და ეს წიგნიც მაგარი ლელვობა იქნება, რამეს თუ არ უშველიო.

მაგას ბუხარში შეგდების გარდა არაფერი უშველის-მეთქი.

„ისტერიჩკა“ მწერლებს ვერ ვიტანო.

მეთქი, მე ცუდ წიგნებს.

წავიკითხო თუ მომიყვები როგორ მთავრდებაო.

მეთქი ჩაიჯვა.

რას ნიშნავსო?

ტორნადოს თვალი რომ მიუახლოვდა, აბაზანაში ჩანვა, მატრასი გადაიფარა და სანამ ყველაფერი არ დაწყნარდა, იქიდან ცხვირი არ გამოუყვია-მეთქი.

27/02/2019

11:00

მეცნიერულ ამბავში შანსი არ არის, პროსტა გამორიცხულია რომ ტიპმა რამდენიმე თვით ადრე ტორნადო იწინასწარმეტყველოს, მაგრამ მეორე მხრივ, მთელ ქალაქში სირენები კივის და ევაკუაციაა გამოცხადებული.

14:00

არ მიყვარს პანიკა რომ პანიკას არ გავს, ადგნენ ეს შენი აიოველები, მანქანებში წყნარად ჩასხდნენ და კიდევ უფრო წყნარად გაუყვნენ ქალაქის ჩრდილო გასასვლელისკენ. საცობი რომ საცობია, ისიც კი ოც წუთში გათავისუფლდა და საევაკუაციო ხაზთან ყველანი მშვიდობიანად გავედით! დედა ვატირე, არადა ამ სცენის დაწერას ძალიან ბრუტალურად ვაპირებდი, ერთმანეთის თავზე გადავლებით, გინებებით და კონსერვატორული ქალაქის სახის დაკარგვით, დედა რომ შვილს ტოვებს და ლაფშა რომ „პადსკაზნულსა“ და კიდევ ათასი ეგეთი, მაგრამ შენც არ მომიკვდე, სამოცდაათი ათასიანი ქალაქი ოთხ საათში ზედმეტი ხმის ამოღების გარეშე დაცარიელდა.

14:45

ამ რუკებს მე რას მაჩვენებ, მე კი არა, შენ უნდა დაბრუნდე ქალაქში, ჩათვალე ტუზი დაგეცა, ბოლო შანსია, რო წლების წინ დაწყებული დაამთავრო-მეთქი.

„ამ თუ ოლდ ფორ დის შითო“, - ვატრაკებ, ეგრე არ უთქვამს, მაგრამ მთელი ცხოვრება მინდოდა ამ ფრაზის გამოყენება, ხოდა, ერთი ტყუილი მეც მაპატიეთ.

სინამდვილეში, ძალიან გულწრფელად მითხრა, მაშინ თუ შემეშინდა, ახლა ამ სიბერეში რატომ გგონია, რომ ჩემს შიშებს მოვერევიო?

მეთქი, რამხელა წრე იკვრება, წერტილს დასვამ, მეც დამეხმარები, აზრზე ხარ რა მაგარი ფინალი მექნება, წიგნი წიგნს დაემსგავსება-მეთქი.

ნეტაი შენ, შენი წიგნის პრობლემებს მე არ მაბრალებდეთ.

მეთქი, აბა ვის დავაბრალო?

შენ თავსო.

ჩემ თავსაც ვაბრალებ, ძალიან ქაჯურად მაქვს დაწერილი, მაგრამ შენთან დიდი ბოდიში და არც სიუჟეტი არ არის ისეთი პიზდეცი, რომ მარტო წერამ უშველოს-მეთქი.

შენ რასაც სიუჟეტს ეძახი, ეგ ჩემი ცხოვრებააო.

მეთქი, მაგას ვგულისხმობ.

ხოდა მე ჩემი ცხოვრებით და შენი წიგნის სიუჟეტით კმაყოფილი ვარ, უკვე იმასაც შევეგუე, რომ ტორნადოს ვერ დავიჭერ და მაგ ფიქრით ცხოვრებაც ვისწავლე, კარგად რომ დაუკვირდე, არის რალაც

რომანტიკული ლუზერობაში, ასე რომ პრობლემა მე კი არა, შენ გაქვს, შენ არ გასვენებს გამჩენიო.

მეთქი, ვერ გავიგე?!

რა ვერ გაიგე, ტორნადოზე ვერ დანერ ტორნადო თუ არ დაიჭირეო.

15:25

მე კი გულთ ვეცდები აღვწერო როგორ ყალიბდება ტორნადო, როგორ ეჯახება ერთმანეთს ღრუბლები, როგორ იხლართებიან ერთმანეთში, როგორ უბერავს ქარი და როგორი უცნაური, მძიმე წვიმა მოდის ჩაშავებული ციდან და როგორ მომენტალურად აანალიზებ, რომ, აი, მთელი შენი ელექტრო მანქანებით, ხელოვნური ინტელექტით და ნავთობის ჭაბურღილებით, სიმდიდრით, სიხარბით და საერთოდ ნებისმიერი ადამიანური გრძნობით, გონებით თუ გამოგონებით, უბრალოდ უმნიშვნელო ნაბიჭვარი ხარ იმ ყველაფრის წინააღმდეგ, რასაც დედა ბუნება ჰქვია... მე ვეცდები, რომ ეს ყველაფერი აღვწერო, მაგრამ იმის მეთავედსაც ვერ გადმოვცემ, რასაც მე ვიგრძნობ ტორნადოს და ჩემი გადანყვეტილების პირისპირ დარჩენილი, აიოვა სითის კონტრაბანდული გვირაბების რუკით ხელში და სარას ისტერიკით ყურებში და არითმიული ბაგაბუგით გულში და უკვე ერთადერთი ფიქრით ქალაქისკენ მიმავალ გვირაბში, რომ ტორნადოზე ვერ დანერ თუ ტორნადო არ დაიჭირე, ტორნადოზე ვერ დანერ თუ ტორნადო არ დაიჭირე, რომ ტორნადოზე ვერ დანერ თუ ტორნადო არ დაიჭირე...